

# კონფიდენციალურობის პოლიტიკა



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ვებ-გვერდის [ichange.gov.ge](http://ichange.gov.ge) მომხმარებლების კონფიდენციალურობის მაღალი ხარისხით დაცვას.

## ichange.gov.ge-ის შესახებ



ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფუნდამენტური პრინციპები – მთავრობათა ღიაობა, გამჭვირვალობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა – საქართველოს მთავრობის სტრატეგიული მნიშვნელობის ღირებულებებია.

მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით, გამჭვირვალობითა და ანგარიშვალდებულებით, საქართველო მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, მოქალაქეთა გაძლიერებას და მთავრობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

ichange.gov.ge პეტიციების პლატფორმის მიზანია საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ჩართულობის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთდაახლოების გააძვირება.

## ელექტრონული პეტიციების პორტალი

მოქალაქეთა  
ელექტრონული  
პეტიციების  
ოფიციალური  
სამთავრობო  
პლატფორმა

<http://ichange.gov.ge>  
2019

## მონაცემების შენახვა და გამოყენება

ვებ-გვერდის მომხმარებელთა მონაცემები გროვდება და ინახება ვებსერვერზე ლოგების სახით. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მომხმარებლის იდენტიფიკაციის მიზნებისთვის მხოლოდ რეგისტრაციის მომენტისათვის. მონაცემთა შემდგომი დამუშავება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ვებ ადმინისტრირების მიზნებისთვის, ასევე მომხმარებლების ტექნიკური მხარდაჭერის ეტაპზე. ვებ-გვერდის მიერ დამუშავებული არცერთი მონაცემი არ გადაეცემა მესამე მხარეს.

გამოქვეყნებული პეტიციის ავტორის სახელი და გვარი პორტალზე ჩანს სრულად, თუმცა ნებისმიერი სხვა ინფორმაცია დაფარულია და მიუწვდომელია მესამე მხარეთათვის. პეტიციის ხელმოწერების სახელები და გვარები დაფარულია და ჩანს მხოლოდ ინიციალების სახით.

ვებ-გვერდზე მომხმარებელთა მიერ პეტიციის ხელმოწერის მომენტში სერვერზე ფიქსირდება ხელმოწერის თარიღი.

## ავტორიზაცია სხვა ვებ-გვერდების მეშვეობით


მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, ელექტრონული პეტიციების პორტალზე რეგისტრაცია შესაძლოა მოხდეს სსიპ [მონაცემთა გაცვლის სააგენტოს](#) მოქალაქეთა პორტალის [My.gov.ge](#), ასევე სსიპ [შემოსავლების სამსახურის](#) სახელითა და პაროლით. ამ შემთხვევაში მოხდება პეტიციების პორტალზე ახალი მომხმარებლის პროფილის შექმნა და ავტორიზაცია მოხდება აღნიშნულ ვებ-გვერდების სერვისების მეშვეობით.

აღნიშნული ვებ-გვერდების კონფიდენციალურობის პოლიტიკას შეგიძლიათ გაცნოთ ზემოთ მითითებულ ბმულებზე გადასვლით.

## „მზა ჩანაწერები“ (COOKIES)

ჩვენ ვებ-გვერდზე „მზა ჩანაწერები“ გამოიყენება მომხმარებლისათვის საიტზე ნავიგაციის გამარტივების, ინფორმაციის სასურველი ფორმატით შეთავაზების და ძებნის პარამეტრების გაუმჯობესების მიზნით.

„მზა ჩანაწერების“ მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს ვიზიტორის მიერ ვებ-გვერდზე გატარებული დროის ხანგრძლივობა, რომელი ქალაქიდან განხორციელდა წვდომა და რა ენაზე გაცნო სტუმარი ინფორმაცია.



## „ანალიტიკური სერვისი“ (GOOGLE ANALYTICS)

ვებ-გვერდის ოპტიმიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ტექნიკური შეფასების მიზნით, ჩვენ ვიყენებთ Google Analytics-ის სერვისს. აღნიშნული სერვისი იძლევა სტატისტიკურ მონაცემებს მომხმარებლების მიერ ვებ-გვერდზე მოთხოვნილი ინფორმაციის (ძიების შინაარსი, ვებ-გვერდის ესა თუ ის განყოფილება და სხვა) შესახებ. მაგალითად, რომელი ქვეყნიდან/ქალაქიდან განხორციელდა ვებ-გვერდზე წვდომა, ვებ-გვერდზე სტუმრობის ხანგრძლივობა, გამოყენებული ოპერაციული სისტემა. ინფორმაცია მუშავდება მხოლოდ სტატისტიკური მიზნით და ტექნიკურ დონეზე მომხმარებელთა იდენტიფიცირება შეუძლებელია.